LCC
Law Firm

საკანონმდებლო სიახლეების ცნობარი

(2024 წლის მაისი)

მოცემული ცნობარი შეეხება მნიშვნელოვან საკანონმდებლო ცვლილებებს, რომელიც განხორციელდა სხვადასხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებში 2024 წლის მაისის თვეში.

საქართველოს კანონი „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ

2024 წლის 15 მაისს „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილ იქნა შემდეგი ცვლილება:

1. 9^1 მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„5. ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შენობა-ნაგებობის ტექნიკური უსაფრთხოების ნორმები და შენობა-ნაგებობის ტექნიკური უსაფრთხოების ნორმებთან შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტის გამცემი უფლებამოსილი პირი განისაზღვრება „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტითა და მე-17 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ტექნიკური რეგლამენტით.“.

2. კანონს დაემატა შემდეგი შინაარსის 22^2 მუხლი:

N22 Melashvili Str. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str. Tbilisi, Georgia
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

„მუხლი 22^2. ამ კანონის მე-6 მუხლის 10^1–11^2 პუნქტებით გათვალისწინებული საქმიანობების ლიცენზიების გაუქმება შეცვლილ სალიცენზიო პირობებთან შეუსაბამობის გამო

1. ამ კანონის მე-6 მუხლის 10^1–11^2 პუნქტებით გათვალისწინებული საქმიანობების ლიცენზიების (მათ შორის, ამ კანონის 38-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ლიცენზიის) მფლობელები ვალდებული არიან უზრუნველყონ შეცვლილ სალიცენზიო პირობებთან შესაბამისობა ამ პირობების შეცვლიდან არაუგვიანეს 1 წლისა.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული საქმიანობების ლიცენზიების მფლობელები ვალდებული არიან ლიცენზიის გამცემს წერილობით წარუდგინონ შეცვლილ სალიცენზიო პირობებთან შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია არაუგვიანეს იმავე პუნქტით გათვალისწინებული ვადის ამოწურვიდან 5 კალენდარული დღისა.

3. ლიცენზიის გამცემი:

ა) 7 კალენდარული დღის ვადაში ძალადაკარგულად აცხადებს ლიცენზიას, თუ ლიცენზიის მფლობელმა ამ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი წესით არ წარუდგინა შეცვლილ სალიცენზიო პირობებთან შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;

ბ) 30 კალენდარული დღის ვადაში განიხილავს ლიცენზიის მფლობელის მიერ წარდგენილ შეცვლილ სალიცენზიო პირობებთან შესაბამისობის დამადასტურებელ დოკუმენტაციას და იღებს წერილობით გადაწყვეტილებას:

ბ.ა) ლიცენზიის ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ, თუ აღნიშნული დოკუმენტაციით არ დასტურდება შეცვლილ სალიცენზიო პირობებთან შესაბამისობა;

ბ.ბ) შეცვლილ სალიცენზიო პირობებთან შესაბამისობის შესახებ.

4. ლიცენზიის გამცემი ამ მუხლით განსაზღვრულ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით.“

ზემოაღნიშნული დოკუმენტის სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge, სარეგისტრაციო კოდით: 300310000.05.001.102257

კანონი ამოქმედდება გამოქვეყნებიდან 180-ე დღეს.

N22 Melashvili Str. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str. Tbilisi, Georgia
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

LCC
Law Firm

საქართველოს კანონი საქართველოს საზღვაო კოდექსი

2024 წლის 15 მაისს საქართველოს საზღვაო კოდექსის 70-ე მუხლის 5^1 5^2 ნაწილები (საზღვაო ნავსადგური) და 78^1 მუხლი (ტერმინთა განმარტება) ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 400010020.05.001.102255

კანონი, გარდა ამ კანონის პირველი მუხლისა, ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

კანონის პირველი მუხლი ამოქმედდება 2024 წლის 1 ოქტომბრიდან.

საქართველოს კანონი „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“

2024 წლის 30 მაისს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს შეტანილ იქნა ცვლილება და კანონის მე-2 მუხლი (ტერმინთა განმარტება); მე-3 მუხლი (ნგარიშვალდებული პირები) და ა.შ. ჩაოყალიბდა ახალი რედაქციით.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 080090020.05.001.102261

კანონი, გარდა ამ კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და მე-4, მე-9 და მე-11 პუნქტებისა, ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი და მე-4, მე-9 და მე-11 პუნქტები ამოქმედდება 2024 წლის 1 დეკემბრიდან.

N22 Melashvili Str. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str. Tbilisi, Georgia
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

LCC
Law Firm

საპენსიო სააგენტოს დირექტორის 2019 წლის 30 ივლისის ბრძანება № 002

2024 წლის 1 მაისს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საპენსიო სააგენტოს დირექტორის №013 ბრძანებით საპენსიო შენატანების გადახდის წესების, ინფორმაციის წარდგენის ფორმების, ზედმეტად გადახდილი თანხების ადმინისტრირების, ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე საპენსიო შენატანების, ხარჯის, ნამეტი შემოსავლის, დანაკარგის, სხვა შემოსავლის, ამონაგებისა და ზარალის დარიცხვის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საპენსიო სააგენტოს დირექტორის 2019 წლის 30 ივლისის №002 ბრძანებაში შეტანილ იქნა შემდეგი ცვლილება:

1. მე-4 მუხლის 7^1 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„7^1. გარდა ამ მუხლის მე-5 პუნქტში მითითებული მომხმარებლის სახელისა და დროებითი პაროლის მეშვეობით რეგისტრაცია/ავტორიზაციისა, დასაქმებული/პენსიის მიმღები უფლებამოსილია საპენსიო შენატანების ადმინისტრირების ელექტრონულ სისტემაში რეგისტრაცია/ავტორიზაცია გაიაროს საქართველოს მოქალაქის პირადობის ელექტრონული მოწმობის (ID ბარათის) ან ბინადრობის ელექტრონული მოწმობის მეშვეობით ან ელექტრონულ სისტემაში არსებული სხვა საშუალებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).“.

2. 5^1 მუხლის შემდეგ დაემატა შემდეგი შინაარსის 5^2 მუხლი:

„5^2. ელექტრონულ სისტემაში წვდომის უზრუნველყოფა

1. საპენსიო სააგენტო უფლებამოსილია მონაწილეები/პენსიის მიმღებების ინფორმირების ან/და ამ ინსტრუქციით გათვალისწინებულთან ერთად, დასაქმებულის საპენსიო გვერდზე წვდომის ალტერნატიული საშუალებების უზრუნველსაყოფად, შესაბამისი მომსახურების მიღების მიზნით ხელშეკრულება/შეთანხმება/მემორანდუმი გააფორმოს მესამე პირ(ებ)თან.

2. ამ მუხლის მიზნებისათვის, შესაბამისი მომსახურების განმახორციელებელი პირი უფლებამოსილია დაამუშაოს პერსონალური მონაცემები მხოლოდ ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შესაძლებლობის უზრუნველსაყოფად.“.

N22 Melashvili Str. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str. Tbilisi, Georgia
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

ზემოაღნიშნული დოკუმენტის სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 280030000.73.085.016026

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის ბრძანება №35/ნ

2024 წლის 20 მაისს დამტკიცდა თანდართული „მესამე ქვეყანაში/ქვეყნიდან საერთაშორისო სატვირთო გადაზიდვის სანებართვო დოკუმენტის გაცემის წესი.“.

ზემოაღნიშნული წესის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 310150000.77.090.016035

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 29 აგვისტოს ბრძანება №257

2024 წლის 24 მაისს საქართველოს ფინანსთა მინისტრის №164 ბრძანებით „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 29 აგვისტოს №257 ბრძანებაში შეტანილ იქნა ცვლილება და „საბაჟო ფორმალობების განხორციელებისას „ახალი კომპიუტერიზებული სატრანზიტო სისტემის (NCTS)“ გამოყენების შესაძლებლობის შესახებ“ ინსტრუქციის (დანართი №20) ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით.

ზემოაღნიშნული ინსტრუქციის სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 230210000.22.033.017821

ბრძანება ამოქმედდება 2024 წლის 27 მაისიდან.

ამავე ბრძანებაში, 2024 წლის 24 მაისს საქართველოს ფინანსთა მინისტრის №168 ბრძანებით შეტანილ იქნა ცვლილება და საბაჟო ზედამხედველობის შესახებ" ინსტრუქციის (დანართი №3); საქონლის ელექტრონული აღრიცხვის ფორმა (დანართი №3-04) და ა.შ. ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით.

ზემოაღნიშნული ინსტრუქციის სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 230210000.22.033.017824

ბრძანება ამოქმედდება გამოქვეყნებიდან 30-ე დღეს.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის ბრძანება №996

2024 წლის 22 მაისს საქართველოს ფინანსთა მინისტრის №166 ბრძანებით „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანების ინსტრუქციაში შეტანილ იქნა ცვლილება და №II-06-ის („გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადის დეკლარაცია") დეკლარაციის დანართი „ა" („ინფორმაცია საანგარიშო თვეში განხორციელებული განაცემებისა და დაკავებული გადასახადის შესახებ") ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით.

ზემოაღნიშნული ინსტრუქციის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 200090000.22.033.017823

ბრძანება, გარდა პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ბ.ა“ ქვეპუნქტებისა, ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

ამ ბრძანების პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ბ.ა“ ქვეპუნქტები ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე და მათი მოქმედება გავრცელდა 2024 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

ამავე ბრძანებაში 2024 წლის 27 მაისს საქართველოს ფინანსთა მინისტრის №169 ბრძანებით შეტანილ იქნა ცვლილება და XVI³ თავის სათაური ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: (თავი XVI³. დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების ადგილი“) და მუხლი 66 ⁶ (უძრავ ნივთთან დაკავშირებული მომსახურება).

ზემოაღნიშნული ინსტრუქციის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 200090000.22.033.017825

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს გენერალური პროკურორის ბრძანება №012

2024 წლის 28 მაისს დამტკიცდა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის საქმიანობის თანდართული წესი.

ზემოაღნიშნული წესის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 110060000.70.082.016127

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

LCC
Law Firm

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საპენსიო სააგენტოს დირექტორის ბრძანება №014

2024 წლის 31 მაისს დამტკიცდა „საპენსიო შენატანის განხორციელების ვალდებულების დარღვევის და საპენსიო შენატანის ზედმეტად განხორციელების ფაქტის იდენტიფიცირების, წერილობითი ან/და ელექტრონული გაფრთხილების, ზედმეტად განხორციელებული საპენსიო შენატანის თანხის დაბრუნების, ჯარიმის დაკისრებისა და აღსრულების წესი“ ამ ბრძანებაზე თანდართული ფორმით.

ზემოაღნიშნული წესის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 280030000.73.085.016027

ბრძანება, გარდა ამ ბრძანებაზე თანდართული წესის მე-7 მუხლისა, ამოქმედდა 2024 წლის 01 ივნისიდან.

ბრძანებაზე თანდართული წესის მე-7 მუხლი ამოქმედდება 2024 წლის 30 სექტემბერს.

N22 Melashvili Str. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str. Tbilisi, Georgia
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge